**დღეს ნომერში**

ალექსანდრე მეტრეველი და მისი მეგობრები...

სტუდენტ - ხელბურთელთა მსოფლიო პირველობაზე

1-ლი გვ.

X თეთრი ოლიმპიადის მასპინძლებთან

მე-4 გვ.

## ინდოეთის მზის ქვეშ

დელი, 9 იანვარი. საქართველოს ჩოგბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს ინდოეთს გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

ვაჟთა ერთეულების ფინალში სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა ფარ-ხმალი დააყრევინა რუმინეთის „პირველ ჩოგანს“ ი. ცირიაკს — 6:3, 3:6, 6:3.

მეტრეველმა ა. ივანოვასთან ერთად ყველას აჯობა შერეულ წყვილთა შეჯიბრებაშიც, — გადამწყვეტი შეხვედრა მათ იოლად მოუგეს თანამემამულეებს ნ. თუხარელსა და თ. კაკულიას — 6:2, 6:1.

და მხოლოდ ქართველი ვაჟების დუეტი (მეტრეველი — კაკულია) დამარცხდა კარგად შეთამაშებულ რუმინელთა წყვილთან — ცირიაკ — ნასტასესთან — 3:6, 3:6.

## „ბურევესტნიკი“ — ნახევარფინალში!

ბონი, 9 იანვარი. გფრ-ის მოედნებზე მიმდინარე სტუდენტ-ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა „ბურევესტნიკმა“ ახალ წარმატებას მიაღწია: მეოთხედფინალში ადვილად სძლია დანიელ ჭაბუკებს (17:6) და ნახევარფინალში გავიდა. 4 გოლის ავტორია [illegible], სამისა — მაქსიმოვი და გულბისი.

აი, სხვა მეოთხედფინალური მატჩების შედეგები: ჩეხოსლოვაკია — გდრ 26:24 (ძირითადი დრო — 18:18, პირველი ტაიმი — 7:13), შვეცია — ნორვეგია 18:13 (6:6), რუმინეთი — საფრანგეთი 20:9 (13:2).

ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: სსრ კავშირი — შვეცია, ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 6 (3490)

10

1968 წ. იანვარი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


## ერთსულოვნება

ალჟირი, 9 იანვარი. ალჟირის ოლიმპიური კომიტეტი მხარს უჭერს აფრიკის ქვეყნების დიდი ჯგუფის მოწოდებას მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის ბოიკოტის გამოცხადების თაობაზე, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიადაში დაუშვებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას.

## როცა არ იყვნენ პორტიში და ბილეკი

როგორც ცნობილია, დიდოსტატმა ლ. საბომ I ადგილი მოიხვეჭა უნგრეთის XXIII საჭადრაკო ჩემპიონატში — 13,5 ქულა მოაგროვა 19-დან. ტურნირში არ თამაშობდნენ დიდოსტატები ლ. პორტიში და ი. ბილეკი.

## ახალი ამბები

● ალმა-ათა, 8 იანვარი. ჩელიაბინსკელი მოციგურავე ტ. სიდოროვა ახლოსაა მსოფლიო რეკორდთან 500 მეტრზე რბენაში. დღეს მან ამ დისტანციაზე ზუსტად 45 წამი აჩვენა, რაც მისი პირადი რეკორდია და 0,1 წამით ჩამორჩება ი. არტამონოვას მსოფლიო რეკორდს, რომელიც 1962 წელს მაღალმთიან საციგურაო მედეოზე იყო დამყარებული. 1000 მეტრზე რბენაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა მოსკოველმა ლ. ტიტოვამ — 1.33,1.

◆ გრონინგენი, 9 იანვარი. 16 წლის ტულელმა ოსტატმა ა. კარპოვმა I ადგილი დაიკავა ევროპის იუნიორ მოჭადრაკეთა აქ დამთავრებულ ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, ინგლისის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ტურნირის ფინალურ ჯგუფში: I. კარპოვი — 5,5 ქულა 7-დან, II. იოხა (უნგრეთი) — 5, III. ლევი (პოლონეთი) — 4,5.

## უკანასკნელი საათი...

◆ სან-ფრანცისკო, 9 იანვარი. „სპორტის დედოფალი“ — მძლეოსნობა უკვე რამდენიმე წელია მთელი წლის განმავლობაში „ფხიზლობს“, ოღონდ ესაა, რომ ზამთარში მისი სეზონი „დახურულია“: სპორტსმენები დარბაზებში ასპარეზობენ. ოლიმპიური წლის პირველი ასეთი შეჯიბრება გაიმართა ადგილობრივ „კაუ-პალასში“. სიმაღლეზე ხტომაში მოულოდნელად ყველას აჯობა შვეციის წარმომადგენელმა ი. დალგრენმა — 210 სმ. II ადგილზეა ახალგაზრდა ამერიკელი დ. ფოსბიური — 207 სმ. ცნობილმა ე. კარაზერსმა და ო. ბარელმა მხოლოდ 203 სმ დაძლიეს. ჭოკით ხტომაში ბადალი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს, ამერიკელ ბ. სიგრენს — 519 სმ.

◆ მონტევიდეო, 9 იანვარი. ინგლისელმა ტ. ჯონსტონმა გაიმარჯვა ურუგვაის დედაქალაქის მახლობლად გამართულ კროსში — 7 კმ პლაჟის სილაში მან გაირბინა 31 წუთსა და 29,2 წამში. ჯონსტონმა ჩამოიტოვა 240 მეტოქე, რომელთა შორის იყვნენ ლათინური ამერიკის უძლიერესი სტაიერები, აგრეთვე, ამასწინანდელი „სან-სილვესტრეს კორიდის“ მონაწილე რამდენიმე ევროპელი.

◆ ბრნო, 9 იანვარი. ჩეხოსლოვაკიის აქ დამთავრებული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დასახელებულია ქვეყნის ნაკრები ფიგურულ ციგურაობაში, რომელიც გრენობლის თეთრ ოლიმპიადაში უნდა გამოვიდეს. გუნდში შევიდნენ ჰანა მაშკოვა, მარია ვიხოვა, ონდრეი ნეპელა, მარიან ფალცი და წყვილები: დრახოვა — ბარტოშევიჩი და შრამკოვა — შრამეკი.

## გრენობლის მერის მოწოდება

პარიზი, 8 იანვარი. გრენობლის მერი მ. დიუბედუ დღეს გამოვიდა მოწოდებით, რომ თეთრი ოლიმპიადის დღეებში მთელი დედამიწის ზურგზე შეწყდეს სამხედრო მოქმედება.

„ანტიკურ ეპოქაში ოლიმპიური თამაშების დროს ყველა მეომარი „წმიდა ზავს“ იცავდა. ამგვარად, სამხედრო მოქმედების შეწყვეტა ოლიმპიური იდეალის განუყოფელი ნაწილი იყო“, — ნათქვამია დიუბედუს მოწოდებაში. აი, რატომაა, რომ თეთრი ოლიმპიადის ქალაქი გრენობლი „მტკიცედ მოუწოდებს ყველას 1968 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პერიოდში სამხედრო მოქმედების შეწყვეტას. მას იმედი აქვს, რომ ეს მოწოდება მისწვდება სამხედრო კონფლიქტებში მონაწილე ყველა მთავრობასა და ორგანიზაციას“.

გრენობლის მერი მოუწოდებს „ყველა ქვეყნის ხალხს, რომელსაც ეს მოწოდება აღელვებს, სოლიდარობა გამოუცხადონ ოლიმპიური ზავის იდეას“.



ბაკურიანის პარკის ფერდობებზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ჩეჩელიანმა კვლავ მოიგო

კალუგა, 9 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატის V ტურში თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ჩეჩელიანმა მოუგო ტიტორენკოს (რსფსრ) და 5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს შეჯიბრებას. მეჩიტოვს (თბილისი) 3 ქულა აქვს.

## საახალწლო ანკეტები

უკვე ცნობილია, რომ გაზეთ „ფრანს-ფუტბოლის“ ტრადიციული საახალწლო ანკეტის შედეგებით სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები 1967 წლის უძლიერეს გუნდადაა აღიარებული ევროპაში.

აი, როგორი კომენტარი გაუკეთა „ფრანს-ფუტბოლმა“ თავის ანკეტას: „1967 წელს ევროპის ქვეყნების ნაკრებთა შორის ერთი თავით მაღლა არც ერთი გუნდი არ იდგა დანარჩენებზე... ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი — იტალიისა, შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებს შეხვდა. საუკეთესო გუნდის დასახელების წინ ბევრს ვფიქრობდით, ვინაიდან ინგლისის, უნგრეთის, იტალიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის არჩევანი ძნელი იყო. საბოლოოდ, საუკეთესოდ მივიჩნიეთ საბჭოთა ნაკრები, რადგან მისი მიღწევები უფრო სერიოზული გამოდგა. ინგლისის ნაკრების ერთადერთი დამარცხება (შოტლანდიელებთან) სერიოზულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და თუ თებერვალში ინგლისელები შეძლებენ რევანშის აღებას და ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლას, ისინი შელახულ პრესტიჟს აღიდგენენ“.

იუგოსლავიის „ფუტბალმა“ I ადგილზე ასევე საბჭოთა გუნდი გაიყვანა, თუმცა შედეგების ცხრილში იგი II ადგილზეა იტალიის შემდეგ. „ფუტბალის“ აზრით, „მართალია, იტალიას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, მაგრამ საბჭოთა კავშირმა გასვლითი მატჩები ძლიერ მოწინააღმდეგეებთან წარმატებით ჩაატარა და უძლიერესის სახელს იმსახურებს“.

„ფუტბალმა“ 1967 წლის ევროპის ნაკრები ასე შეადგინა: ბენქსი (ინგლისი), შალამანოვი (ბულგარეთი), გემელი (შოტლანდია), ბეკენბაუერი (გფრ), შესტერნიოვი, ვორონინი, ჩისლენკო (სამივე — სსრ კავშირი), ეუსებიო (პორტუგალია), რ. ჩარლტონი (ინგლისი), ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია), ჯაიჩი (იუგოსლავია).

უნგრეთის „ნეპშპორტსაც“ ტრადიციად აქვს ევროპის ცნობილი სპორტული გაზეთების საახალწლო „დაკითხვა“. „ნეპშპორტი“ იუწყება, რომ წლევანდელ ანკეტაზე პასუხი გასცეს გაზეთებმა: „სოვეტსკი სპორტმა“ (მოსკოვი), „მუნდო დეპორტივომ“ (ლისაბონი), „დოიჩეს შპორტეხომ“ (ბერლინი), „აფტონბლადეტმა“ (სტოკჰოლმი), „ჩესკოსლოვენსკი სპორტმა“ (პრაღა), „უორლდ სოკერმა“ (ლონდონი), „ნაროდენ სპორტმა“ (სოფია), „პშეგლონდ სპორტოვიმ“ (ვარშავა), „დეილი რეკორდმა“ (გლაზგო), „სპორტულმა“ (ბუქარესტი), „ტუტოსპორტმა“ (ტურინი), „ელ მუნდო დეპორტივომ“ (ბარსელონა), „სპორტსკე ნოვოსტიმ“ (ზაგრები). „ნეპშპორტის“ ანკეტის შედეგებით 1967 წლის ევროპის უძლიერესი გუნდები ასე იყოფიან: 1. უნგრეთი, 2. ინგლისი, 3. სსრ კავშირი, 4. იტალია, 5. გფრ, 6. ბულგარეთი, 7. ესპანეთი, 8. შოტლანდია, 9. გდრ, 10. იუგოსლავია.

„ნეპშპორტის“ უცხოელმა კოლეგებმა 1967 წლის ევროპის 2 ასეთი ნაკრები შეადგინეს: I ნაკრები — იაშინი (სსრ კავშირი), კაპოსტა (უნგრეთი), შესტერნიოვი (სსრ კავშირი), მური (ინგლისი), ფაკეტი (იტალია), ბეკენბაუერი (გფრ), რ. ჩარლტონი (ინგლისი), ჯონსტონი (შოტლანდია), ალბერტი (უნგრეთი), ეუსებიო (პორტუგალია), ფარკაში (უნგრეთი); II ნაკრები — ბენქსი (ინგლისი), შალამანოვი (ბულგარეთი), მესეი (უნგრეთი), ჯ. ჩარლტონი (ინგლისი), შნელინგერი (გფრ), გელეტა (ჩეხოსლოვაკია), იაკიმოვი (ბულგარეთი), ჩისლენკო (სსრ კავშირი), მაცოლა (იტალია), ლიუბანსკი (პოლონეთი), ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია).

შტუტგარტის (გფრ) გაზეთ „ინტერნაციონალენ შპორტ-კორესპონდენციის“ ანკეტის მიხედვით 1967 წლის ევროპის საუკეთესო გუნდის სახელი ერთდროულად ორმა ნაკრებმა — სსრ კავშირისა და ინგლისისამ დაიმსახურეს. მათ მოჰყვებიან უნგრეთი, იტალია, შოტლანდია, ბულგარეთი, იუგოსლავია, გფრ, გდრ, რუმინეთი.

# საქართველოს სპორტკავშირში

როგორც ცნობილია, შარშან, 8 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის არმიელ კალათბურთელთა შორის საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩის დროს, დინამოელთა კაპიტანი ლ. მოსეშვილი უტაქტოდ მოექცა ვოლგოგრადელ მსაჯს ა. ტუაევს. ამან, თავის მხრივ, მაყურებლების ერთ ნაწილს ხულიგნური, თავაშვებული გამოხდომისკენ უბიძგა. მატჩი მცირე ხნით შეწყდა კიდეც.

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა იმსჯელა ამ საკითხზე, აგრეთვე გაითვალისწინა კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოსა და გუნდის საერთო კრების გადაწყვეტილებები, რის შედეგადაც დაადგინა: გაათავისუფლოს ლ. მოსეშვილი კაპიტნობიდან და მისცეს მას დისკვალიფიკაცია 8 კალენდარული მატჩით.

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას, „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს, კალათბურთის რესპუბლიკურ ფედერაციასა და საქართველოს სპორტკავშირის მთავარ მწვრთნელს კალათბურთში ვ. ჯაფარიძეს დაევალათ გააუმჯობესონ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა გუნდში.

თბილისის სპორტის სასახლის დირექციას (დირექტორი რ. იმნაძე) დაევალა გააუმჯობესოს შეჯიბრებების ორგანიზაცია, გაძლიერდეს სპორტის მოყვარულთა კლუბის საქმიანობა, რომლის ამოცანასაც შეადგენს მაყურებლებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაყურებლებისთვის შეჯიბრებათა წესების ცალკეული პუნქტების ახსნა-განმარტებას.

საჩხერის რაიონის სოფელ საირხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა. ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალგაზრდობა არც ფიზიკურ კულტურას ივიწყებს. აქვთ ფეხბურთის კეთილმოწყობილი მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. შარშან საირხის ფეხბურთელებმა I ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრეს რაიონში.

წლეულს დამთავრდება ახალი საკოლმეურნეო კლუბისა და კონტორის მშენებლობა. ძ ვ ე ლ კლუბს სოფლის ახალგაზრდობა სპორტულ დარბაზად გამოიყენებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ზ ე: ფეხბურთელთა კაპიტანი ნ. ციმაკურიძე და გუნდის მოთამაშეები საუბრობენ მომავლის გეგმებზე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

# გულახდილი, საქმიანი საუბარი

### საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სხდომაზე

1967 წლის მიწურულს გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ჩვენი რესპუბლიკის ქალთა და ვაჟთა გუნდების მონაწილეობას სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში. ამავე სხდომაზე დამტკიცდა 1968 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა.

სხდომის მონაწილეებმა გულახდილად, საქმიანად ილაპარაკეს სპარტაკიადაში ჩვენი გუნდების წარუმატებლობის მიზეზებზე. სწორედ ამ მიზეზებსა და მათ ანალიზს მიუძღვნეს თავიანთი სიტყვები საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების ხელმძღვანელებმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. კეკელიძემ და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. წერეთელმა, კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ნ. ჯორჯიკიამ და ლ. ფალავანდიშვილმა, ფედერაციის პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. ჯაფარიძემ და სხვ.

სხდომის მონაწილეთა გამოსვლები შეაჯამა კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. თოხაძემ. მან თქვა, რომ კრიტიკა ჩვენი ქალთა და ვაჟთა გუნდების მიმართ სამართლიანი და საქმიანი იყო, შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა ზოგიერთი კალათბურთელის უკმარი მორალურ-ნებელობითი და საერთო ფიზიკური მომზადება.

— ეს ხარვეზები, — თქვა სიტყვის დასასრულს ვ. თოხაძემ, — მომავლისთვის კარგი მაგალითი იქნება და, იმედია, მის აღმოფხვრას აქედანვე შეუდგებიან ისინი, ვის ხელთაც არის ქართული კალათბურთის აწმყო და მომავალი.

ფედერაციის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც კალათბურთში მუშაობის ძირფესვიანად გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს მოიცავს. მაგალითად, გადაწყდა, რომ უმოკლეს ხანში ოსტატთა გუნდები შეივსოს ახალგაზრდა კალათბურთელებით, განსაკუთრებით კი მაღალი ტანის მოთამაშეებით. მწვრთნელებმა უნდა გადასინჯონ წვრთნის მეთოდიკა, შინაარსი, მეტი ყურადღება დაუთმონ როგორც დატვირთვის ინტენსიურობის ზრდას, ისე დაცვის ტაქტიკის გაუმჯობესებას. პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად ცნო, რომ წლეულს მოეწყოს მწვრთნელთა ხელახალი ატესტაცია, ჩატარდეს კალათბურთის მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე სემინარი. ფედერაციის პრეზიდიუმმა ბავშვთა კალათბურთის გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ღონისძიებები დასახა.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ გ. კირვალიძე („შრომითი რეზერვები“), გ. ხოშტარია („კოლმეურნე“), ლ. ინწკირველი („დინამო“), რომლებმაც ილაპარაკეს კალათბურთის განვითარების გზებზე სპორტსაზოგადოებებსა და კოლექტივებში.

მოსწავლეთა ზონალურ შეჯიბრებებზე

# ჩვენი ბიჭები — ფინალში!

ფოთი, 9 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). 1950-51 წლებში დაბადებული ჭაბუკებისა და გოგონების საკავშირო ზონალური შეჯიბრების II ტურში საქართველოს კალათბურთელ ჭაბუკთა წინააღმდეგ თამაშობდა აზერბაიჯანის კოლექტივი. მასპინძლებმა დიდი მონდომებით ითამაშეს და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს — 61:53.

ამ დღეებში გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: უკრაინა II — აზერბაიჯანი 61:56, უკრაინა II — რსფსრ II 59:52, უკრაინა II — მოლდავეთი 62:40, საქართველო — მოლდავეთი 57:38.

საქართველოს ჭაბუკთა გუნდი ფინალში გავიდა.

გოგონათა ტურნირს შემოუერთდა სომხეთის გუნდი, რომელიც პირველ მატჩში დამარცხდა საქართველოს წარმომადგენლებთან — 29:73. ჩვენებმა მოუგეს აზერბაიჯანისა (60:53) და მოლდავეთის (59:45) გუნდებსაც.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: უკრაინა II — მოლდავეთი 53:43, რსფსრ II — უკრაინა II 64:58, აზერბაიჯანი — სომხეთი 61:40, მოლდავეთი — სომხეთი 48:30.

ა. ლომაია.

# მარცხიც არის და მარცხიც

მოზარდ მაგიდის ჩოგბურთელთა ახლახან დამთავრებულ ტურნირში საქართველოს გუნდების მარცხი მეტად სასტიკი იყო. მოლდაველებთან სტარტზე წაგებას ჩვენმა გოგონებმაც და ჭაბუკებმაც მომდევნო ორ ტურში კიდევ 2-2 დამარცხება დაუმატეს. გოგონებმა ჯერ აზერბაიჯანის წარმომადგენლებს დაუთმეს გამარჯვება (8:9), მერე კი სომხეთის გუნდს (1:16). ჭაბუკებმაც ამავე გუნდებთან წააგეს — 3:14 და 1:16. ასე უსახელოდ დაამთავრა შეჯიბრება ჩვენმა ორივე გუნდმა, ორივემ ბოლო, IV ადგილი დაიკავა და ფინალს მიღმა დარჩა.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: **გოგონები.** სომხეთი — მოლდავეთი 12:5, აზერბაიჯანი — მოლდავეთი 10:7; **ჭაბუკები.** სომხეთი — მოლდავეთი 12:5, აზერბაიჯანი — მოლდავეთი 6:11.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს სომხეთის გუნდებმა, რომლებმაც ქულათა მაქსიმუმის დაგროვებით (3-3) I ადგილები დაიკავეს. გოგონებში II ადგილზე გავიდა მოლდავეთის (2), ხოლო ჭაბუკებში — აზერბაიჯანის (2) გუნდი. სწორედ ამ კოლექტივებმა გაიკაფეს გზა ფინალისკენ. თითო ქულით III ადგილები დაიკავეს მოლდავეთისა (ჭაბუკები) და აზერბაიჯანის (გოგონები) სპორტსმენებმა. საქართველოს ჩოგბურთელებს ერთი ქულაც არა აქვთ.

გუნდურ ასპარეზობასთან ერთად ტარდებოდა პირადი პირველობაც. ერთეულთა ფინალში მოხვედრისთვის სპორტსმენი 16 მონაწილეში IV ადგილზე მაინც უნდა გასულიყო. ჭაბუკებში I-IV ადგილებზე გავიდნენ: ფ. ფილოსიანი (სომხეთი) — 15 ქულა, ლ. ბარმინოვი (აზერბაიჯანი) — 13, ა. სააკიანი (სომხეთი) — 12 და ნ. ვოლნიანსკი (მოლდავეთი) — 11. საქართველოს წარმომადგენლებიდან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ვ. კოლიკს (8 მოგება, 7 წაგება, ე. ი. 8 ქულა), რომელიც X ადგილზეა. XII ადგილი ხვდა გ. სარხოიანს (შესაბამისად 4, 11, 4,), XV — კ. პასტიანიდის (1, 14, 1), ბოლო XVI — გ. გუგუშვილს (15 წაგება).

მთლად სირცხვილნაჭამი რომ არ დავრჩით, ეს მხოლოდ თბილისის 66-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის რიმა აკოპიანის დამსახურებაა. მან 12 ქულა მოიპოვა (წააგო მხოლოდ 3 შეხვედრა) და III ადგილზე გავიდა. შევნიშნავთ, საქართველოს გუნდის ოთხივე მონაწილემ სულ 22 შეხვედრა მოიგო (წაგებულია 38). I ადგილი დაისაკუთრა აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ვ. ვისოცკაიამ (13 მოგებით და 2 წაგებით, მათ შორის თბილისელ აკოპიანთან). II ადგილი ხვდა ს. ავეტისიანს, IV — გ. ხანზრატიანს (ორივე — სომხეთი).

საქართველოს გოგონათა გუნდის წევრებმა ლ. ფირსოვამ და გ. ლევინამ (5-5 მოგება, 10-10 წაგება) სხვა რესპუბლიკების 3 სპორტსმენთან ერთად X-XIV ადგილები გაინაწილეს, ი. გილელსი კი 15 წაგებით XVI ადგილზე დარჩა.

წყვილთა თანრიგში ფინალის საგზურები მხოლოდ I ადგილებზე გასულთ ელოდათ. გოგონებშიც და ჭაბუკებშიც ყველას აჯობეს სომხეთის წარმომადგენლებმა. ესენი არიან: ჭაბუკები ფ. ფილოსიანი — ა. სააკიანი და გოგონები ს. ავეტისიანი — დ. მანჯასარიანი.

როგორც ხედავთ, ჩვენმა სპორტსმენებმა დიდი ვერაფერი ნადავლი იგდეს ხელთ. ჩანს, მოზარდთა მაგიდის ჩოგბურთის განვითარებაში ბევრი რამ ვერ არის რიგზე და ზომების დროულად მიღებაა საჭირო.

ჯ. ენდელაძე.

# „სიხარული“ უსიყვარულოდ

კოლაგის კოლმეურნეობის სპორტსმენები ერთ დროს მთელ რაიონში იყვნენ განთქმული. მათ ბევრჯერ უსახელებიათ თავი ფეხბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ტყვიის სროლაში. მაგრამ ეს რამდენიმე წლის წინათ იყო.

შ. მექერიშვილსა და ვ. რიკაძეს კოლაგის ბაღებსა და ზვრებში ერთად ურბენიათ და ბურთიც თანატოლებთან ერთად უგორებიათ. ახლა ისინი სოფლის რჩეული ადამიანები არიან: მექერიშვილი კოლმეურნეობას თავკაცობს, რიკაძე კი რვაწლიან სკოლაში მუშაობს ფიზაღზრდის მასწავლებლად. ფეხბურთელთა გუნდი „სიხარული“ სწორედ მათი თაოსნობით შეიქმნა კოლაგში. გუნდი უმალვე „კოლმეურნის“ რაიონული თასის გათამაშებაში ჩაება და ზედიზედ 8 შეხვედრა მოიგო. ის იყო ზონაში გამარჯვებულთა ტურნირი უნდა დაწყებულიყო, რომ გუნდი მოულოდნელად მიატოვა რიკაძემ. უპატრონოდ დარჩენილმა ფეხბურთელებმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავეს და თავი მომავლის იმედით დაიმშვიდეს.

და აი, ამას წინათ ერთი ქომაგის საყვედურებით აღსავსე ბარათი მოვიდა რედაქციაში. გვწერდა: გუნდი დაიშალა, მოედანი გაპარტახდაო.

ამ სიტყვებისთვის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს ეჭვის თვალით არ შეუხედავთ, სოფელში კი საქმის ასავალდასავალს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე დ. ნაცვლიშვილის, „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე შ. არუთინაშვილის, გურჯაანის „ალაზნის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელ დ. ხუნდაძისა და სოფლის დეპუტატ კ. აფთარაშვილის თანდასწრებით გავეცანით.

ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარე რომ მოვიკითხეთ, კოლმეურნეობის გამგეობის წევრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. ისევ არუთინაშვილმა მოაბა თავი სათქმელს — რაც კოლაგი ბაკურციხეს გამოეყო (1966 წლის თებერვლიდან), ფიზკულტურის კოლექტივი აღარ შეგვიქმნიაო (!). და აი, მას შემდეგ თურმე ხან იმ ფეხბურთელთა გუნდის წყალობით გადიოდნენ ფონს, ხან რიკაძე მოსწავლეებში და სოფლის ახალგაზრდობაში ამოარჩევდა ბიჭებს რაიონულ პირველობაში თავის გამოსაჩენად. სხვათა შორის, შარშან ფიზკულტურელებისთვის კოლმეურნეობაში კაპიკიც არ დახარჯულა. სპორტსაზოგადოების იურიდიული საწევროც ვალად აწევს გამგეობას.

...რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველომ კოლაგელებს ოფიციალურად დაავალა ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესება და სპორტული ბაზების მოწყობა. კოლმეურნეობის გამგეობის სხდომისთვის საკითხი ასე გადააკეთეს: „კოლმეურნეობაში სპორტსაზოგადოების შექმნისა და ფიზორგის გამოყოფის შესახებ“.

დაადგინეს: „ვინაიდან ჩვენს კოლმეურნეობაში არ გვყავს სპეციალური განათლების ფიზორგი, დაქირავებულ იქნეს ვალიკო მიხეილის ძე რიკაძე და თვეში განესაზღვროს ხელფასი 30 მანეთი (ოქმი № 4, 1966 წლის 18 თებერვალი).

სპორტული ბაზების საქმე მართლაც სავალალოა: ფეხბურთის მინდვრის მოწყობა 2 წლის წინ დაიწყეს, მაგრამ დღესაც არ დაუმთავრებიათ. ახლა აქ პირუტყვი დათარეშობს და ტრანსპორტის გზაც ზედ სპორტული ბაზისთვის განკუთვნილ მინდორზე გადის.

მაინც რა იყო მთავარი მიზეზი ყოველივე ამისა?

ფეხბურთელთა გუნდს თურმე ჩალაუბანში უნდა გაემართა მორიგი შეხვედრა. მექერიშვილსა და რიკაძეს შელაპარაკება მოსვლიათ. გუნდი სწორედ მაშინ მიუტოვებია „დაქირავებულ“ ფიზორგს, 175 მანეთი მიუღია და გამგეობას დამშვიდობებია. აგერ უკვე მეორე წელია თავმჯდომარე და ფიზაღზრდის მასწავლებელი ვერ მორიგებულან, სოფელი კი თავისას მოითხოვს.

თ. ბაჩეჩილაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. კოლაგი,

გურჯაანის რაიონი.

# თავშესაფარი „ჯოჯოხეთში“

ნაკები

ზამთარი ახალციხეში უჩვეულოდ ადრე დაიწყო. მწვრთნელებს დიდი არჩევანი როდი ჰქონდათ და ერთადერთ ბაზას — განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზს შეაფარეს თავი. მაგრამ ზამთარს სათანადოდ მომზადებული ვერც სპორტსკოლა შეხვდა. საკმარისია ითქვას, რომ მთელ დარბაზში ერთადერთი ღუმელი დგას.

იმ დილით პირველად მე-4 საშუალო სკოლის VII-ბ კლასის 18 მოსწავლე გამოცხადდა. ამ კლასში სულ 28 მოსწავლეა. იდლიაში თითო შეშის ნაჭერი ამოედოთ. ღუმელის ანთების რიტუალმა, რა თქმა უნდა, გაკვეთილისთვის განკუთვნილი 45 წუთის მნიშვნელოვანი ნაწილი წაიღო.

ქალაქის ამ ცენტრალურ ბაზას არც გასახდელები აქვს წესრიგზე, შხაპზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იატაკზე ალაგ პარკეტია დაგებული, ალაგ — ასფალტი. ინვენტარი გამოსაცვლელია. სპორტსკოლას „დროებით“ შეეკედლებია პიონერთა სასახლეც და ეს „მეზობლობა“ აგერ სამი წელია გრძელდება.

უკეთეს მდგომარეობაში არც აქვე ახლოს მდებარე „კოლმეურნის“ ძალოსნობის დარბაზია. ეს კია, ამ დარბაზს ხიზნები არა ჰყავს.

როდის ეშველებათ ახალციხელ სპორტსმენებს?

გ. თოხაძე-ვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ახალციხე.



# თუთუ-ბაში

ასმათ დავითიშვილი

ნაწყვეტი წიგნიდან

და აი, სასწაული მოხდა: ქვამ მოულოდნელად დიდი ნახტომი გააკეთა, ორ ნაწილად გაიპო, მარჯვნივ და მარცხნივ ჩაგვიქროლა.

ბიჭები მომეკრნენ.

ახლა ქვათა ცვენა იყო საშიში. შეძლებისდაგვარად ავარიდეთ თავი, მაგრამ მე მაინც დამრჩა სამუდამო ნიშანი შუბლსა და ტუჩზე.

ამ დროს მომესმა:

„იურჩკა, ვწყდები“.

ავიხედე: მიშა ჩემგან ოცდაათ მეტრზე იქნებოდა.

„ნუ გეშინია, დაცვა რკინისებურია, ნუ გეშინია, მიშა!“

ამის თქმა იყო და მიშა მოწყდა.

ბიჭები მომეხმარნენ და ექვსიოდე მეტრი ჩავიხვიეთ.

მიშას შეეძლო ხელი არ მოეკიდა თოკისთვის, არც უნდა მოეკიდა, მაგრამ აკი ჩასჭიდა! რომ დაიჭიმა, თოკი საშინელი ძალით ჩაეჭრა ხელში და კლდეს მიაკრა.

შემდეგ მან კვლავ განაგრძო წინსვლა. შევამჩნიე, რომ ხელი ნატკენი ჰქონდა. ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი. არაფერიო, მიპასუხა თავისებური სიმტკიცით. ჩამოდი, თუ ნატკენი გაქვს, შეგიხვევ-მეთქი, გავუმეორე. არ ჩამოვიდა. მაშინ თოკი მაგრად ჩავიხვიე და აღარ გავუშვი. იძულებული გახდა გაჩერებულიყო. ხელი შევუხვიე და ახლა მე დავწინაურდი.

დღის სამი საათისთვის მწვერვალის წინა მხარეს გავედით, სადაც კარგი მოედანი დაგვხვდა. და მხოლოდ აქ, როცა ყველანი შევიკრიბეთ, მივხვდით, რომ მხოლოდ უცნაურმა შემთხვევამ გვიხსნა.

შემდეგ მკვეთრად გამოხატული კლდის თხემი ყინულოვანი თხემით შეიცვალა. ეს უკანასკნელი მწვერვალის წინა მხარის კოშკს ებჯინებოდა.

საჭმელი გავიკეთეთ და ღამის სათევად მოვემზადეთ.

(მიშა: „მხოლოდ იური მიმიხვდა, როგორ მტკიოდა ხელი. ნატკენი ადგილი ენით ამილოკა, მარწმუნებდა, ჩვენთან ასე არჩენენო იარებს“).

კარგა ხანს არ დაგვიძინია. კვლავ მოვყევით, რაც კი საინტერესო ვიცოდით. ხმამაღლა არც ერთი არაფერს ამბობდა, მაგრამ ვიცოდით, ამინდი რომ არ გამოსულიყო, შიმშილით სიკვდილი გველოდა. დაგვრჩა მხოლოდ ორი ქილა ხორცის კონსერვი, 50 გრამი სუფთა სპირტი და ცოტა ორცხობილა.

მეორე დღე საშინელი იყო — ქროდა ქარი, თოვლს გვაყრიდა და ხუთ მეტრზე აღარაფერი ჩანდა. დაიწყო ქუქუხილი. ნისლი ჩამოწვა.. მეთვალყურეებთან კავშირი გაწყდა. ახლა არც საშუალება გვქონდა შუშხუნების გაშვებისა და არც აზრი ჰქონდა ამას.

გაჩერება ცოცხლად დამარხვას ნიშნავდა და წინსვლა დავიწყეთ. ისევ მიშა მიდიოდა წინ. შემდეგ მე. ყველაზე მეტად მიშას უმძიმდა. ახლა მარშრუტს ისიც ართულებდა, რომ შვერილები თოვლით იყო დაფარული და მათი გაწმენდა დიდ დროს ითხოვდა. მიშას საიმედოდ ვიცავდი. მივაღწიეთ მწვერვალის წინა მხარის კოშკს, რომელიც ჰაერში ეკიდა. ღარებში ხორხოშელა ცვიოდა. ტანსაცმელი დაგვისველდა და შემოგვეყინა. დროდადრო მწვერვალის კოშკის უახლოეს კედლებს ვხედავდით, მაგრამ ეს კედლებიც იმავე წამს ნისლში იკარგებოდა.

ზევით და მარცხნივ მკრთალად გამოსახული თარო მოჩანდა, რომელიც „საცობს“ ებჯინებოდა. მისი გვერდის ავლა არ შეიძლებოდა.

კვლავ მიშა წავიდა წინ. მე მას ვიცავდი. „საცობზე“ რომ გავიდა, პირველად ჩვენი ნაცნობობის მანძილზე გაუბედაობა შევნიშნე. უფრო მოგვიანებით მივხვდი, რომ ხელი ძალიან სტკიოდა და ასეთი გასასვლელის დაძლევის იმედი არ ჰქონდა.

მიშა გავიდა, „საცობს“ მიაღწია, იტრიალა, იტრიალა და შემდეგ დამიძახა: „იური, მიმიღე“!

ზანილოვს ხელები მოეყინა. არ შეეძლო თოკს მოჰკიდებოდა. თოვლით დავუზილე, შემდეგ სვიტერს ქვეშ გავუთბე. საშინლად სტკიოდა, მაგრამ მგრძნობიარობა დაუბრუნდა.

მიშამ მიჩურჩულა: „თუ ვერ გახვალ, დავიღუპებით!“. ხელი გაუსივდა.

დავიწყე გასვლა. მივაღწიე „საცობს“. მზარი იყო, მაგრამ ხელს ვერ ვაწვდენდი. მაშინ ნიკაპით დამატებითი საყრდენი შევქმენი, შემდეგ მარცხენა ხელი, მარჯვენა და... გავედი.

მიშა რომ ამოვიდა, სახე შეეცვალა: „იური, რა მოგივიდა?“ რა უნდა მეთქვა! დამატებითი საყრდენის დროს არც კი მიგრძვნია, როგორ დამემტვრა წინა ორი კბილი.

შემდეგ სამი მეტრი უარყოფითი დახრა შეგვხვდა. ეს დაბრკოლება კიბით დავძლიეთ და ისევ წინ წავედით. არაფერი ჩანდა, გავედი მთელი თოკით. ჯერ მიშა ამოვიდა, შემდეგ ზანილოვი. საშა ქვევით დარჩა. ვერაფრით ვერ ამოგვქონდა ზურგჩანთები, ალბათ, კლდის შვერილებს ედებოდა. რომელიმე ჩვენგანი უნდა ჩასულიყო. ზანილოვმა თქვა: „თუ ჩავედი, ვეღარ ამოვალ“. მიშას ხელი გასიებული ჰქონდა. ისევ მე მომიხდა საშასთან დაშვება. სწორედ ამ დროს გაიელვა. ასე მეგონა, თავით ფეხამდე ნემსებით დამჩხვლიტეს-მეთქი. თოკი მოვიცილე და კლდეს მივეკარი, შევეცადე, ვიდრე ელვა გადაივლიდა. კვლავ იელვა, თუმცა უფრო სუსტად. როგორც იქნა, საშასთან ჩავედი. როგორც იქნა, ზურგჩანთებიც ავზიდეთ.

ვიდრე ჩვენ ავიდოდით, ზანილოვმა მიშა წინ გაუშვა. მე ვთქვი, ვგონებ მწვერვალი უნდა იყოს-მეთქი. ბნელოდა, არაფერი ჩანდა. სწორედ ამ დროს მიშას ძახილი შემომესმა: „თოკი მომეცით“. შემდეგ ისევ: „მგონი, ფინიშს ვუახლოვდებით“. შემდეგ მიშამ კვლავ დაიძახა: „დაცვა მზად არის, ამოდით!“ ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. „თუ დავრჩი, გავგიჟდები“, თქვა საშამ. ზურგჩანთის მოკიდებაში მოვეხმარე და იგი სიბნელეში ჩაიფლო. ძალზე სწრაფად გაიარა მთელი მანძილი. მომესმა ძახილი: „შემდეგი!“

ვგრძნობდი, რომ დანილოვის დატოვება არ შეიძლებოდა მასაც მოვეხმარე ზურგჩანთის მოკიდებაში და გავუშვი. ძალიან ნელა ადიოდა. ეტყობოდა, მოყინული ხელები თავისუფლად მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. მარტო დავრჩი. საშინლად ბნელოდა. ასე მეგონა, მთელი საუკუნე გავიდა, რაც ამხანაგებმა მიმატოვეს და რომ სულ ასე უნდა ვყოფილიყავი. როგორც იქნა, ძახილი მომესმა: „შემდეგი!“ მე უკვე აღარავინ მეხმარებოდა ზურგჩანთის მოკიდებაში და ძალიან გავწვალდი. მიშას დავუძახე, მოვდივარ-მეთქი, მაგრამ ძლიერი ქარი ქროდა და ჩემი ყვირილი ვერ გაიგო.

(მიშა: „საშინელმა აზრმა გამიელვა. ვიფიქრე, ჩავალ და თუ მართლა მოწყდა, მეც თან ჩავყვები-მეთქი“).

დავინახე, რომ თოვლზე ვიღაც მოდიოდა. მე ვერ მხედავდა იმიტომ, რომ კლდეზე ვიყავი. „იური!“ — დაიყვირა მიშამ. იური ვარ-მეთქი. ერთი მაგრად შემიკურთხა, გული გამიხეთქეო.

ღამის ცხრა საათზე მწვერვალზე ვიყავით.

დილით მშვენიერი ამინდი დაგვიდგა. დაბლა დავეშვით.

შეხვედრა შესანიშნავი იყო.

ცნობილმა მთამსვლელმა კოვალიოვმა განაცხადა: „ათი წელი გავა და მხოლოდ მაშინ შესძლებენ ამ მარშრუტის გამეორებას“.

ათი წელი გავიდა.

თუთუ-ბაშის კედელზე ჩვენი მარშრუტი ჯერ არ გაუმეორებიათ.

დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 3, 4, 5.



თბილისი 1-29-I 1968 წ.

## გუშინ...

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის VII პარტია, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი თეთრებით თამაშობდა. მეტოქეებმა კვლავ ფრანგი ოსტატის რაფაელის დებიუტი გაითამაშეს. გაჩაღდა მწვავე ბრძოლა. შუა თამაშში ნათელი გახდა, რომ კუპერმანი რთულ სტრატეგიულ პრობლემებს უსახავდა ახალგაზრდა დიდოსტატს. ანდრეიკო კარგად გაერკვა დახლართულ სიტუაციაში და აღკვეთა ჩემპიონის ყველა მუქარა. 61-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3,5 : 3,5. დღეს შედგება VIII პარტია. თეთრებით თამაშობს ანდრეიკო.



ეს ორი მოღიმარი, დროული კაცი ემსახურება ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩს. მთავარი არბიტრი, ფრანგი პ. ლიუკო (მარცხნივ) ასუჭრიანი შაშის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანია. იგი პირველადაა ჩვენში. მოსკოველი ვ. მიშკოვსკი — მთავარი არბიტრის მოადგილე — ცნობილია, როგორც საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი საშაშო კომპოზიციაში და გაზეთ „კრასნოე ზნამიას“ შაშის განყოფილების გამგე.

მსაჯები მუდამ „პოსტზე“ არიან, მაგრამ ხალისიანი დროც რჩებათ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



მატჩის ყოველი პარტიის დაწყებიდან მესამე საათზე პრეს-ცენტრი საგანგებო ბიულეტენს უშვებს. პრეს-ცენტრის კონსულტანტმა, დიდოსტატმა ვ. გოროდეცკიმ (შუაში) ეს-ესაა გაამზადა ახალი ბიულეტენი. მისი შინაარსით დაინტერესდნენ მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე ლ. მატარაძე (მარჯვნივ) და საქართველოს შაშის ფედერაციის თავმჯდომარე, თბილისის 1-ლი მაისის რაიკომის მდივნის თანაშემწე დ. იანკოვსკი (მარცხნივ).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### სსრ კავშირის ჩემპიონები

| | | |
|---|---|---|
| I | 1954 | ი. კუპერმანი (კიევი) |
| II | 1955 | ი. კუპერმანი (კიევი) |
| III | 1956 | ი. კუპერმანი (კიევი) |
| IV | 1958 | მ. კორხოვი (ოდესა) |
| V | 1959 | ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) |
| VI | 1960 | მ. კორხოვი (ოდესა) |
| VII | 1961 | ა. ანდრეიკო (რიგა) |
| VIII | 1962 | ი. კუპერმანი (კიევი) |
| IX | 1963 | ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) |
| X | 1964 | ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) |
| XI | 1965 | ა. ანდრეიკო (რიგა) |
| XII | 1966 | ა. ანდრეიკო (რიგა) |
| XIII | 1967 | ი. კუპერმანი (კიევი) |

### მსოფლიოს ჩემპიონები

| | |
|---|---|
| ი. ვეისი (საფრანგეთი) | 1894-1912 |
| მ. ბოგლენდი (ჰოლანდია) | 1912-1924 |
| ს. ბიზო (საფრანგეთი) | 1925-1926 |
| მ. ფაბრი (საფრანგეთი) | 1926-1927 |
| | 1931-1932 |
| ბ. შპრინგერი (ჰოლანდია) | 1928-1930 |
| მ. რაიშენბახი (საფრანგეთი) | 1933-1944 |
| პ. გისტენი (საფრანგეთი) | 1945-1947 |
| პ. როზენბურგი (ჰოლანდია) | 1948-1955 |
| მ. დელორიე (კანადა) | 1956-1957 |
| ი. კუპერმანი (სსრკ) | 1958-1959 |
| | 1961-1963 |
| | 1965-1967 |
| ვ. შჩოგოლევი (სსრკ) | 1960-1961 |
| | 1964-1965 |

### ოლიმპიური ჩემპიონები

| | | |
|---|---|---|
| I | 1948 | პ. როზენბურგი (ჰოლანდია) |
| II | 1952 | პ. როზენბურგი (ჰოლანდია) |
| III | 1956 | მ. დელორიე (კანადა) |
| IV | 1960 | ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) |
| V | 1964 | ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) |

ჯანსუღ ჩარკვიანი

## მიხეილ ხერგიანს

მგელმა ეგ მუხლი მაიბას —
ურჩევნის ათას წილადა,
სადა მწვერვალი გაბრწყინდა
იქ შენი თვალი ბრწყინავდა.
უშბამ მოისხა ღრუბელი,
დღეს დაგიჯენო ძვირადა...
მაგრამ წმინდაი კვირიკე
მზეს ოქროს ბატკანს სწირავდა.
ღმერთი უშველის ხერგიანს —
კლდის ჩასახერგად
ბრდღვინავდა,
— ჩემს სვანეთს არ ვემეტები
უშბაზე გასაწირადა.
მიხეილს მუხლი ხერგი აქვს,
მზის საბრძანისის ბინადარს,
მგელმა მის მუხლი მაიბას
ურჩევნის ათას წილადა.

### წოდების მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა: სასტენდო სროლაში — ზ. მაჩხანელს (თბილისის „სპარტაკი“).

### [illegible]

**◆ ზუგდიდი**

ორ თვეს გასტანა ქალაქის 1967 წლის საფეხბურთო პირველობამ, რომელშიც 13 გუნდი მონაწილეობდა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო და ენგურჰესის მე-5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კონტორების გუნდები. საინტერესო ბრძოლა მოიგეს ზუგდიდელებმა — 2 : 1.

გ. ალშიბაია.

**◆ ადიგენი**

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა საჭადრაკო პირველობა. გოგონებში ყველას აჯობა ე. ვარდაძემ (სოფ. არალის საშუალო სკოლა), ჭაბუკებში — რ. პერონიძემ (აბასთუმნის საშუალო სკოლა).

ნ. მამულაშვილი,
ადიგენის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.

**◆ ზესტაფონი**

რაიონული გაზეთ „ლენინელის“ რედაქციის თანამშრომლებმა ამას წინათ ჩაატარეს პირველობები ჭადრაკსა და ასუჭრიან შაშში. მოჭადრაკეთა ტურნირში გაიმარჯვა დ. გველესიანმა, ხოლო მოშაშეთა შეჯიბრებაში — კ. ფოცხვერაშვილმა.

ა. ბანუჩავა.



გუშინ „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირადი შეჯიბრება მძლეოსნობაში. ექვსჭიდელთა ტურნირი კარგად დაიწყო გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატის მოსწავლემ თემურ გოგიბერიძემ და ბოლო სახეობამდე ლიდერობდა კიდეც, მაგრამ ჭოკით ხტომაში საკუთარი ძალა ზუსტად ვერ განსაზღვრა, ნადავლს (3802 ქულა) ვეღარაფერი მიუმატა და III ადგილით დაკმაყოფილდა.

ჭოკით ხტომაში მარცხის მიუხედავად, გოგიბერიძის სხვა შედეგები იმედს იძლევიან, რომ მათი ავტორი წლეულს ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდს დაეუფლება. თემური განსაკუთრებით ძლიერია სიგრძეზე ხტომაში, 110 მეტრზე თარჯრბენში. სპრინტში...

• • •

სურათზე: თ. გოგიბერიძე ახპარეზობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მალე — გრენობლი!

პოლ ზილბერტენი




საფრანგეთი ოლიმპიურმა ციებ-ცხელებამ მოიცვა. ჩვეულებრივი, პატარა ლამაზი ქალაქი გრენობლი სულ მალე მსოფლიოს დედაქალაქად იქცევა და მთელი ოლიმპიური ასპარეზობის მანძილზე იქნება უდიდესი ინტერესის საგანი. დღემდე გრენობლის სპორტული ასპექტი დროებით დავიწყებული იყო ლაპარაკობდნენ მხოლოდ მშენებლობაზე. ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციაზე და ამასთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე. დიდი ოლიმპიური სარბიელის „მსახიობები" დროებით ჩრდილში მოექცნენ, მაგრამ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე ემზადებოდა მომავალი შეჯიბრებებისთვის. ამჟამად მზადება დასასრულს უახლოვდება. მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვალ დ'იზერის საერთაშორისო შეჯიბრებებს, სადაც საფრანგეთის გუნდი კარგად გამოვიდა, ჟანკლოდ კილიმ კი პირველი ადგილი აიღო. ამ სპორტსმენზე, რომელიც ინსბრუკშიც პირველი იყო, ფრანგები დიდ იმედს ამყარებენ ჩვენ დიდხანს ვადევნებდით თვალს თეთრი ოლიმპიადისათვის სპორტსმენების მზადებას და უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონს ასე ინტენსიურად არასოდეს უვარჯიშია.

გუნდის მწვრთნელი რენე სულპისი ამბობს

— ოლიმპიური თამაშები წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ეტაპია, უდავოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ არა პირველი და უკანასკნელი



რენე სულპისი

ეტაპი. ჟან-კლოდ კილი, ვფიქრობ, წლეულსაც საუკეთესო იქნება. არ დაივიწყოთ, რომ ავსტრიაში გამარჯვება უფრო ძნელი იყო, ვიდრე სამშობლოში — საფრანგეთში იქნება.

სულპისის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენების არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ მორალურ მომზადებასაც ყველას აოცებს ფრანგი მოთხილამურეების რწმენა, დამაჯერებელი გამოსვლები. უნდა ითქვას, რომ ბევრი უცხოელი მწვრთნელი ცდილობდა მათი მეთოდის გადაღებას.

● **შეიძლება ამ საიდუმლოს გამხელა?**

— არავითარი საიდუმლო არ არსებობს, — ამბობს ფრანგი მწვრთნელი. — საქმე ისაა, რომ ყველაფერს განაპირობებს დიდი, დაუზარელი შრომა, რითაც ჩვენი სპორტსმენები გამოირჩევიან. ჩვენი გუნდი გრენობლში საკმაოდ პერსპექტიული, ახალგაზრდა სპორტსმენებით იქნება დაკომპლექტებული. გარდა ამისა, ჩვენ საკმაოდ დიდი და კარგი რეზერვი გვყავს 14 წლის ბიჭებისა და 12 წლის გოგონების სახით. ნაკრებში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები შედიან.

სავსებით ნათელია, რომ რ. სულპისი ცდილობს მეცნიერული საფუძვლით ახსნას საფრანგეთის გუნდის გამარჯვება. მაგრამ ჩვენ უთუოდ უნდა აღვნიშნოთ. რომ ამ გამარჯვებაში უდიდეს როლს ასრულებენ მწვრთნელებიც. ეს ექვსი თუ შვიდი კაცი ახალგაზრდა სპორტსმენების მთელი არმიიდან არჩევს მომავალ ჩემპიონებს და ზრდის მათ.

თვით სულპისი განუყრელია სპორტსმენებთან, განსაკუთრებით კი კილისთან. სულპისი 35 წლისაა და თავადაც ძალიან კარგი სპორტსმენია.

მოთხილამურეების მწვრთნელი თეორეტიკოსი არ არის.

— ჩვენი როლი, — განაგრძობს სულპისი, — მარტო თხილამურებით სრიალის სწავლება როდია. ჩვენთან მოსულ ყველა ახალგაზრდას აქვს რაღაც ნაკლი და რაღაც დადებითი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია. ჩვენი ვალია მუშაობის რაც შეიძლება კარგი პირობები შევუქმნათ მათ. გამოცდილებით დადასტურდა. რომ წელიწადში ათი თვის ვარჯიშს ზიანი კი არა, დიდი სარგებლობა მოაქვს. ამ ზამთარს ჩვენი ბიჭების უმრავლესობა იწყებს თავის მეხუთე სეზონს... სამი წლის განმავლობაში. არც ერთი დაღლილი არაა. სპორტსმენები ნაკლებად იღლებიან ვარჯიშით და მათი ფორმაც ახლა გაცილებით უკეთესია. წინათ რამდენიმე თვის დასვენების შემდეგ მათ მთელი თვე სჭირდებოდათ ვარჯიშის ჩვეულებრივი რიტმის აღსადგენად. ახლა კი რამდენიმე დღეში იბრუნებენ ფორმას.

● **ხომ არაა საშიშროება, რომ ხანგრძლივი წვრთნა ცუდად იმოქმედებს სპორტსმენებზე?**

სულპისი კატეგორიულად აცხადებს:

— თხილამურები ზაფხულობით გაცილებით ნაკლებ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, ვიდრე ზამთრობით. მოგზაურობა უდავოდ სასარგებლოა სპორტსმენებისათვის. ამ დროს მათ ბევრ რამეზე ეცვლებათ შეხედულება და ეს ძალიან კარგია. მაგალითად, ამ ზაფხულს ორი ბიჭი გავგზავნეთ ავსტრალიაში, გაისად უფრო მეტს გავგზავნით.

ამ ინტერვიუს დასაწყისში სულპისმა თქვა, რომ თხილამურებით სრიალი სრულიად განსხვავებულია სპორტის სხვა სახეობებისგან. ვფიქრობთ, მისი აზრი საინტერესოა:

— ცურვაში, ჩოგბურთში და სპორტის სხვა სახეობებში დებიუტანტსა და ჩემპიონებს ერთნაირ პირობებში უხდებათ ასპარეზობა. საფრანგეთის ჩემპიონატის დროს, მაგალითად, ახალგაზრდა, ჯერ მხოლოდ პერსპექტიული სპორტსმენი და მსოფლიოს რეკორდსმენი ერთსა და იმავე აუზში ცურავდნენ.

სულ სხვაა სათხილამურო სპორტი. აქ „იმედს" ბევრად უფრო ცუდ პირობებში უხდება ასპარეზობა. რიგითი სპორტსმენი საკმაოდ „გაცვეთილ" ნათხილამურევზე გამოდის, რაც, რასაკვირველია, მის შედეგზე დადებითად ვერ იმოქმედებს. სლალომში კი დადგენილია, რომ 15 კაცის სრიალის შემდეგ ნათხილამურევი უკვე ძალიან აშლილია. ვიმედოვნებთ, ეს ოლიმპიურ თამაშებში არ მოხდება.

ახლა, როცა მწვრთნელის შეხედულებებს თითქმის მთლიანად გავეცანით, ჩემპიონებს ვეწვიოთ. ვიდრე მომავალი ასპარეზობის მთავარ „იმედებს" ვესტუმრებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს რეპორტაჟი გაკეთდა „მონ-ჟენევრში" ბოლო კვირას, როცა ლეო ლაკრუა იქ არ იყო, — ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთეს.

*კილი მისი ძალა*

მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურე ჟან-კლოდ კილი ცოტა გაკვირვებული იძლევა პასუხს. როცა ოლიმპიურ თამაშებზე დაუწყებენ ლაპარაკს.

— ვფიქრობ, ამ ამბავს თქვენ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, ვიდრე მე თვითონ. თამაშები ისეთივე შეჯიბრებაა, როგორც ყველა სხვა. აქაც საჭიროა სისწრაფე, სიზუსტე და ფინიშთან ყველაზე ადრე მისვლა. გამარჯვებისთვის აქაც ისაა საჭირო, რაც სხვა შეჯიბრებებში.

მაგრამ კილიმ კარგად იცის გრენობლის მომავალი შეჯიბრებების მნიშვნელობა. რომ გავიგოთ მისი დამოკიდებულება ამ დიდი სპორტული მოვლენის მიმართ, აუცილებელია იცნობდეთ მის ბუნებას.

მიშელ კლარი თავის ახალ წიგნში ასე გვიხასიათებს ნაწარმოების გმირს (კილის): „მისი მიღწევები არის მიღწევები კაცისა, რომელიც თავისი თავის მეუფეა, რომელიც თვითონვე ძლევს მის არსებაში აღძრულ ყველა წინააღმდეგობას. როგორც თვით კილი ამბობს, არ შეიძლება მოხდეს, რომ ის რწმენა, რომელიც მან სპორტის მოყვარულთა შორის დაამკვიდრა, ოდესმე შეირყეს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ფლობს თვითკონტროლისა და თავშეკავების არაჩვეულებრივ უნარს.

ზოგჯერ ძალიან საპასუხისმგებლო მომენტშიც კი, როცა კილის გარშემო ყველა აწრიალებული, აღელვებული და აფორიაქებულია, ირკვევა, რომ ყველაფერი რიგზეა. კილის ოსტატობა ნათლად მოწმობს ამას". გულახდილად რომ ლაპარაკობს, მსოფლიო ჩემპიონი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს დიდ შეჯიბრებას და მათ მნიშვნელობასაც აღიარებს.

— შეიძლება უცებ ყველაფერი დავკარგო და ჩემმა მტრებმა მოიგონ. მე თუ გავიმარჯვე, იტყვიან, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, წაგებას კი არ მაპატიებენ.

*პერია. მთავარი ესაა: დაუმარცხებელია თუ არა ჟან-კლოდ კილი*

პერია — მისი მეგობარი და მთავარი მეტოქე ყოყმანობს:

— ჩვეულებრივ, კილის დამარცხება ძნელია, მაგრამ უიღბლო დღე ერთხელ ყველას გაუთენდება. სწორედ ამ დღის გამოყენებაა საჭირო.

პერია გამოიცვალა, რწმენა მოემატა. მართლაც:

— საქმე ისაა, რომ მე 1966-67 წლებში 5 კილოგრამი მოვიმატე, ახლა 67 კილოგრამს ვიწონი და ფიზიკურად უფრო კარგად ვგრძნობ თავს. ეს აუცილებელი იყო ჩემი სახეობისთვის.

პერია — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომელსაც მხოლოდ ოლიმპიადის ჩემპიონის ტიტული აკლდა მუდამ, ახლა „შეიარაღებულია" ამ მიზნის მისაღწევად. ყველას სურს, რომ საფრანგეთის ნაკრები გუნდის წევრობის ბოლო წლებში მან აისრულოს საწადელი. მაგრამ პერია არც შემდეგ მიატოვებს სპორტს. იგი მხოლოდ ამპლუას შეიცვლის — თავის გამოცდილებას და ნიჭს ახალგაზრდა მოთხილამურეების აღზრდას მოახმარს.

... ჟორჟ მოდუი, რომელსაც დიდი იმედი აქვს გიგანტურ სლალომში ოლიმპიური ოქროს მოპოვებისა, ოლიმპიადის შემდეგ არც აპირებს სპორტის დათმობას:

— ჩემს სპორტულ გზაზე კარგიც ბევრი შემხვედრია და ცუდიც. რაც მთავარია, წვრთნა საკმაოდ გვიან, 19 წლის ასაკში დავიწყე. ამიტომაა, რომ მიუხედავად ჩემი 27 წლისა, ახალბედა მოთხილამურე ვარ. ფიზიკურად თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ვფიქრობ კვლავაც დიდხანს ვიქნები ასე.

მართლაც ჟორჟი ძალიან სერიოზულად და თავგამოდებით ვარჯიშობს. ერთი სიტყვით მომავალი ოლიმპიადის შედეგები ყველა პროგნოზზე უკეთ გამოავლენს ღირსეულებს.

(„იუმანიტე-დიმანში").

თარგმნა **ნანა ქავთარაძემ.**



ჟან-კლოდ კილი ტრასაზე



გი პერია

## „უვე ზეელერი ხელს გვიშლის!"

ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა „ჰამბურგერ შპორტფერაინის" კაპიტანმა ი. ვერნერმა, რომელიც პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შეეხო გუნდის კრიზისის მიზეზებს. ასეთი მიზეზი კაპიტნის აზრით ორია: 1) ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა უთანაბრო ჯამაგირი, 2) უვე ზეელერის დიქტატურა.

წლების განმავლობაში ზეელერი „ჰამბურგერ შპორტფერაინის" ბომბარდირი იყო. მოთამაშეებს ევალებოდათ ბურთებით მოემარაგებინათ ცენტრალური თავდამსხმელი. ასეთ პირდაპირ, მარტივ ტაქტიკას მაინც მოჰქონდა შედეგები, რაც უმთავრესად ზეელერის მაღალი საბრძოლო თვისებებით აიხსნებოდა.

მაგრამ ახლა, როცა ზეელერმა 30 წელს გადააბიჯა, გუნდის ტაქტიკა ისევ არ იცვლება, თუმცა ლიდერი ძველებური ძალით ვეღარ მოქმედებს. ზეელერი კი მაინც მოითხოვს მასზე ითამაშონ, რასაც არა ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი შეეწირა. როგორც „ჰამბურგერ შპორტფერაინის" კაპიტანმა განაცხადა, გაჯიუტებული ზეელერი ხელს უშლის არა მარტო მის გუნდს, არამედ გფრ-ის ნაკრებსაც, სადაც იგი ანალოგიურ პრეტენზიებს აყენებს.

ფეხბურთი

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

### იტალია

გათამაშების XIV ტურში „მილანი" შინ შეხვდა „რომას" და საკმაოდ იოლად გაიმარჯვა — 3:0.

„ნაპოლი", რომლის რიგებში დაბრუნდა სახელგანთქმული სივორი, შინ შეხვდა მილანის „ინტერნაციონალეს". ნეაპოლელებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 2:1 და „ინტერი" ამ წაგების შემდეგ IX ადგილზე აღმოჩნდა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბოლონია" — „ატალანტა" 5:0, „ბრეშია" — „ლანეროსი" 1:0, „მანტოვა" — „ვარეზე" 0:0, „სამპდორია" — „იუვენტუსა" 1 : 1, „სპალი" — „ფიორენტინა" 1:0, „ტორინო" — „კალიარი" 2 : 1.

ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მილანი" | 14 | 27:13 | 21 |
| „ნაპოლი" | 14 | 16:13 | 17 |
| „ვარეზე" | 14 | 13:13 | 17 |

### ესპანეთი

გათამაშების ლიდერმა — მადრიდის „ატლეტიკომ" სევილიაში მოუგო ადგილობრივ „ბეტისს" (2:0), ხოლო მადრიდის „რეალმა" შინ ადვილად სძლია „მალაგას" — 3:0. საინტერესოდ წარიმართა მატჩი „ელჩესა" და „რეალ-სარაგოსას" შორის. შეხვედრის ბოლო წამებზე სარაგოსელთა ცენტრფორვარდმა მარსელინომ გაიტანა გადამწყვეტი გოლი — 1:0.

დანარჩენი შედეგები: „პონტევედრა" — „სევილია" 4:1, „ბარსელონა" — „რეალ სოსიედადი" (სან-სებასტიანი) 0:0, „საბადელი" — „ატლეტიკო" (ბილბაო) 1:2, „ვალენსია" — „ლას-პალმასი" 2:2.

„ატლეტიკოს" ახლა 21 ქულა აქვს, მადრიდის „რეალს" — 20 ქულა, ხოლო „ბარსელონას" — 19.

### პორტუგალია

ამ ქვეყნის ჩემპიონი — ლისაბონის „ბენფიკა" წლეულს საკმაოდ არასტაბილურად თამაშობს. უკანასკნელი ტურის წინ „ბენფიკას" და მის მეტოქეს „ფკ პორტუს" ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. კვირას ორ ლიდერს შორის შედგა „დუელი": „ბენფიკა" შინ შეხვდა „ფკ პორტუს", უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში შეძლო გამარჯვების მოპოვება (3:2) და ერთპიროვნული ლიდერობის დაბრუნება.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ვიტორია" (სეტუბალი) — „სპორტინგი" (ლისაბონი) 0:1, „ბელენენსესი" — „აკადემიკა" 3:2, „ლეიქსოსი" — „სან ჟოანენსე" 2:1, „სპორტინგი" (ბრაგა) — „ვიტორია" (გიმარაისი) 0:1, „ტირსენსე" — „კუფ 0:0, „ბარეირენსე" — „ვარზიმი" 4:1.

„ბენფიკა" ლიდერობს 20 ქულით. II ადგილზეა „ფკ პორტუ" — 18 ქულა. (საქ. ინფ.).

რედაქტორი **მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 03111